განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა

## სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 03.12.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21.12.2020

თბილისი

**2020**

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 231187168 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირიება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია N119, 12.09.2018 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან სეთურიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანი ხეცურიანი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N119 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის სხდომის N39 ოქმის მიხედვით ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა დაწესებულებამ გააფართოვოს დასაქმების ბაზრის კვლევა და ფაქტობრივი დამსაქმებლების კვლევიდან გადავიდნენ დასაქმების პერსპექტიული ბაზრის კვლევაზე, რაც პროგრამას საშუალებას მისცემს უფრო სრულყოფილად იყოს ორიენტერიბეული ადგილობრივი დასაქმების ბაზარზე, უკეთ გაითვალისწინოს ამ ბაზრის მოთხოვნილებები და ტენდენციები;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „ფინანსების თეორია" შინაარსი და ლიტერატურა ვერ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას; ისწავლება პირველ სემესტრში და თავისი შინაარსით უფრო ფისკალური პოლიტიკის საფუძვლებია. არ ისწავლება ფინანსების ძირითადი ცნებები, კატეგორიები, მოდელები. აღნიშნული საგანი უნდა ჩანაცვლდეს მაგ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებით და უნდა მიეწოდოს სტუდენტებს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების სწავლების შემდგომ;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიზნესისათვის" შინაარსი და ლიტერატურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას; მეოთხე თემის შემდეგ შეთავაზებული მასალა მაკროეკონომიკური სტატისტიკაა და არა ბიზნესის სტატისტიკა. სასწავლო კურსის შინაარსი უნდა შეიცვალოს და ის დაეყრდნოს შესაბამის ლიტერატურას, მაგ კისი, ან ადნდერსენისა და სვინის სტაიტისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის, რომელშიც თეორიულ მასალასთან ერთად შეთავაზებულია კარგი ბიზნესი-ქეისები;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „ფინანსური მენეჯმენტი" შინაარსი და ლიტერატურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას; შეთავაზებული სახელმძღვანელო უფრო დამხმარე ხასიათისაა, ამიტომ სასწავლო კურსის შინაარსი უნდა დაეყრდნოს ადექვატურ სახელმძღვანელოს ამ მიმართულებით;

- სავალდებულო სასწავლო კურსი „რისკ-მენეჯმენტი“ შინაარსი და ლიტერატურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას; აღნიშნული სასწავლო კურსი ძალიან ზოგად და არასრულყოფილ ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს რისკების შესახებ. ბიზნესში რისკების 75-80 პროცენტი უკავშირდება ფინანსებს და ფინანსურ გადაწყვეტილებებს, რასაც აღნიშნული სასწავლო კურსი ძალიან ზედაპირულად ეხება. აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა გადამუშავდეს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით;
- მარკეტინგული ბლოკი საგანამანათლებლო პროგრამაში მხოლოდ მარკეტინგის საფუძვლებითაა წარმოდგენილი, რაც არასაკმარისია. აუცილებელია უფრო მეტი მარკეტინგული საგნების შეთავაზება, რათა სტუდენტებს უკეთ განუვითარდეთ  მარკეტინგული უნარები. პროგრამით განსაზღვრულ აკადემიურ დისციპლინებს უნდა დაემატოს: მარკეტინგის მენეჯმენტი, სტრატეგიული მარკეტინგი, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები;
- პროგრამის სავალდებულო კომპონენტს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „მმართველობითი აღრიცხვა“;
- დაწესებულებამ დეტალურად უნდა გაწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც იქნება გაზომვადი და რომელსაც მიაღწევს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ;
- სასწავლო კურსის „მიკროეკონომიკის პრინციპები“, რომელიც თავისი შინაარსით შესავალი კურსია და სადაც სტუდენტები ეცნობიან ძირითად ეკონომიკურ ტერმინებს, კატეგორიებს, კანონებს, კანონზომიერებებს, სწავლება უნდა განხორციელდეს პირველ სემესტრში;
- „მაკროეკონომიკის პრინციპების“ სასწავლო კურსის სწავლებამ უნდა გადმოიწიოს მეორე სემესტრში;
- სასწავლო კურსი „ფინანსების თეორია“ (შინაარსის შესახებ იხ. ქვესტანდარტი 1.2) შეთავაზებული უნდა იყოს მას მერე, რაც სტუდენტებს გავლილი ექნებათ ბუღალტერიის საფუძვლები და გარკვეული შესავალი კურსები;
- მენეჯმენტი 1-ის სწავლება უნდა განხორციელდეს მას მერე, რაც სტუდენტებს გავლილი ექნებათ მიკროეკონომიკის პრინციპები და ბიზნესის საფუძვლები;
- აკადემიურმა პერსონალმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კვლევით კომპონენტს;
- დაწესებულებამ სასწავლო კურსის სილაბუსებში უნდა გამოიყენოს ახალი და დარგის აქტუალურ მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მენეჯმენტი, სტატისტიკა ბიზნესისათვის, ფინანსური მენეჯმენტი, კორპორაციის ფინანსები);
- პროგრამის სტრუქტურაში მოხდეს შემდეგი ცვლილებები: მენეჯმენტი 1 და მენეჯმენტი 2-ის ნაცვლად შეთავაზებული იქნას ერთი კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები“, ამოღებული იქნეს სწავლებიდან სასწავლო კურსი „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ (პროგრამაში ისწავლება „ბიზნესის საფუძვლები“ და ის საკმარისია) და „ფინანსური თეორია“ ამ უკანასკნელს ჩაანაცვლებს „ფინანსური

მენეჯმენტის საფუძვლები“ და მათ ნაცვლად გაძლიერდეს მარკეტინგული კომპონენტი;

- სასურველია სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების ასპექტით დაწესებულებამ ჩართოს დამსაქმებლები (პრაქტიკუმები, საჯარო შეხვედრები, ტრენინგები, სტაჟირებები და ა.შ.). ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა ამის მზადყოფნა გამოთქვეს, აღნიშნულს მიესალმნენ აგრეთვე სტუდენტებიც;
- ბაზრის შესწავლისას გამოკითხვის დროს სასურველია გამოკითხვამ მოიცვას არა მარტო უკვე არსებული მომხმარებელი (აბიტურიენტი), არამედ მოხდეს პროგრამის ცნობადობისა და ინფორმირებულობის ანალიზი მრავალი სამომხმარებლო კლასტერის გათვალისწინებით;
- შეფასების მეთოდები უნდა გამომდინარეობდნენ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან. სასწავლო კურსის თითეული სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი. შეფასების სისტემამ სრულად უნდა მოიცვას სწავლის შედეგები.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის მონიტორინგი და შედეგების განხილვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შესაბამისი მონაცემების რეგულარული შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უმეტესად შესრულებულია.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია: „ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების ფართო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე კონკურენტუნარიანი ბაკალავრის მომზადება, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს: ბაზარზე ორიენტირებული ხედვით ბიზნესის დაგეგმვას, კონტროლს და ადმინისტრირებას; ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი მმართველობითი, ფინანსური და მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას“.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით: პროგრამა 240 მოიცავს კრედიტს. აქედან ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 120 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს), სავალდებულო კომპონენტი - 85 კრედიტი, პრაქტიკა 10 კრედიტი; ძირითად სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 25 კრედიტი), თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი - 35 კრედიტი, თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 25 კრედიტი, დამატებით პროგრამა (Minor) ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი. პროგრამას ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე 84 სტუდენტი. პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის ზოგიერთი მათგანი თავად არის ბიზნესის მფლობელი და გამოთქვამენ მზადყოფნას ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემოწმება ონლაინ რეჟიმში ექსპერტების მიერ განხორციელდა 2020 წლის 3 დეკემბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა (რუსუდან სეთურიძე, დავით სიხარულიძე, ანი ხეცურიანი) გაცვალა მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების და თვითშეფასების ანგარიშის შესახებ. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:

შესაბამისობაშია I სტანდარტთან, მეტწილად შესაბამისობაშია II სტანდარტთან, შესაბამისობაშია III, IV და V სტანდარტებთან. შესაბამისად პროგრამა საერთო ანგარიშით სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია რამოდენიმე სწავლის შედეგი დაიხვეწოს, უფრო მკაფიოდ ჩანდეს ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლების შედეგს შორის;
2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსების დამატება: ოპერაციათა მენეჯმენტი, საგადასახადო საქმე, მომხმარებლის ქცევა, მმართველობითი აღრიცხვა. ასევე ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან გადატანილ იქნეს სავალდებულო კომპონენტში სასწავლო კურსი ბიზნეს-ინფორმატიკა;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების ,,ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების" და ,,ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების" შინაარსის დახვეწა

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. ტექნიკური ხარვეზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ დაზუსტდეს 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების შესაბამისად
2. სასურველია დამსაქმებელთა წრის გაფართოება;
3. სასურველია დარგობრივი არჩევითი კურსების მრავალფეროვნება;
4. სასურველია შეფასების მეთოდად უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ქეისები;
5. სასურველია გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წახალისების მექანიზმი;
6. სასურველია გარე ექსპერტიზის ჩატარება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

პროგრამის ძირითადის სფეროს საგნებს დაემატა: ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგ-მენეჯმენტის საფუძვლები, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტში დაემატა: მომსახურების მარკეტინგი, ლიდერობა და გუნდის მართვა. სასწავლო კურსი ,,მიკროეკონომიკის პრინციპები“ და ,,მაკროეკონომიკის პრინციპები“ გადაადგილდა პირველ და მეორე სემესტრში. მენეჯმენტის საფუძვლები ისწავლება მიკროეკონომიკის პრინციპებისა და ბიზნესის საფუძვლების გავლის შემდეგ. პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდა მენეჯმენტი 1 და მენეჯმენტი 2, რომელიც გაერთიანდა და პროგრამაში შემოთავაზებულია, როგორც მენეჯმენტის საფუძვლები. სასწავლო კურსს ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ გადაერქვა სახელი და შემოთავაზებულია როგორც ,,ბიზნესის საფუძვლები“ და ა.შ.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებელით ლიდერია უნივერსიტეტის სხვა პროგრამებს შორის.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები გაცვლით პროგრამებსა და სხვადსხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

უნივერსიტეტმა წინა წლებში გამოაცხადა საგრანტო კონკურსი და შესაბამისად ჰყავთ გამარჯვებულები, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: „ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვა და სხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება და განათლების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი |

| |
|---|
| ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია“.<br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: „ბიზნესის სფეროში ფართო თეორიული ცოდნის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური ბაკალავრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დასაქმებას როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო, კერძო და არასამთავრობო სექტორში და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას“.<br>პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, საჯაროა და ხელმისაწვდომია. ასევე ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაზეც მიუთითებს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მდგომარეობა. პროგრამის კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები, როგორც პროფილის მიხედვით, ისე მომიჯნავე სფეროებში. მათი გარკვეული ნაწილი კი სწავლას აგრძელებს მაგისტრატურის საფეხურზე სპეციალობის მიმართულებით.<br>აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის მოცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: გააფართოვოს დასაქმების ბაზრის კვლევა და ფაქტობრივი დამსაქმებლების კვლევიდან გადავიდნენ დასაქმების პერსპექტიული ბაზრის კვლევაზე, რაც პროგრამას საშუალებას მისცემს უფრო სრულყოფილად იყოს ორიენტირიბული ადგილობრივი დასაქმების ბაზარზე, უკეთ გაითვალისწინოს ამ ბაზრის მოთხოვნილებები და ტენდენციები.<br>დაწესებულებამ უფრო ფართოდ წარმოადგინა დასაქმების ბაზრის კვლევა. ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა დამსაქმებლების უშუალო კავშირი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრთან და ფაკულტეტთან. კახეთის რეგიონული სამსახურის მონაცემებით, დასაქმების ელექტრონულ საიტების, გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების კადრზე (მაგ., 2019-ში 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 56.7%-ით).<br>2016-2019 წწ-ის მონაცემებით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით საშუალოდ კურსდამთავრებულთა 53.75% დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით (კონკრეტულად, 2016-ში -40%, 2017-ში 75%, 2018 და 2019-ში 50-50%).<br>აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ერთადერთ პროგრამას კახეთის რეგიონში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის მისია;<br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ http://tesau.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>○ შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| --- |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის სხდომის N39 ოქმის და აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უმეტესად შესრულებულია.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების (პროგრამა არ გადის შედეგზე: „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა", რაც დასაშვებია კანონმდებლობით) მიღწევას. კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსები თანამიმდევრული და ლოგიკური ურთიერთშესაბამისობით ახორციელებს ბაკალავრის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს სხვადსხვა მექანიზმებს.

პროგრამის კომპონენტები კურსდამთავრებულს უვითარებენ მშობლიურ და უცხო ენაზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარებს, შეასწავლიან წერის, მეტყველებისა და პრეზენტაციის კულტურას.

საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობისა და პროგრამის სწავლის მიზნების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქები, სადაც არის გამოკვეთილი აღნიშნული კავშირები, თუმცა რამოდენიმე სწავლის შედეგი რეკომენდებულია დაიხვეწოს, ჩანდეს ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლების შედეგს შორის. მაგალითად, მეცხრე შედეგი „ახდენს კომპანიის საქმიანობისას წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ჩვენებას, მიზნობრივი პროექტების შემუშავებას და დემონსტრირებას, რეაგირებს ეკონომიკური საქმიანობის

| |
|---|
| პროცესებზე და ამზადებს ადეკვატურ დასკვნას", რეკომენდებულია უფრო დაკონკრეტდეს, ვინაიდან გაურკვევლია რატომ გადის ამ შედეგზე სასწავლო კურსი „მარკეტინგის საფუძვლები" და რატომ არ გადის სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები".<br>დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გამომდინარე აქედან პროგრამას თან ახლავს ,,პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში" და პროგრამის სამიზნე ნიშნულები.<br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებელით ლიდერია სხვა პროგრამებს შორის.<br>პროგრამაზე ჩარიცხვის პირველადი რეგისტრაციის მიხედვით მსურველთა რაოდენობა მზარდია (2017 – 289, 2018 – 264, 2019 – 287, 2020 - 310). მართალია შეინიშნებოდა პროგრამაზე ჩაბარებული სტუდენტთა რაოდენობის კლების ტენდენცია 2017 – 14, 2018 – 11, 2019 – 10, თუმცა 2020 წელს რაოდენობა გაიზარდა - 20. ინტერვიუს შედეგად აღინიშნა, რომ ამ პროგრამაზე სტუდენტების კლების ტენდენცია აიხსნება ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილი სოციალური ფონით, ასევე მოქმედებს დაფინანსებული პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანით (მათ შორის არის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა), ასევე ეროვნულ გამოცდებზე მისაღებ საგნებს აქვს მინიმალური ზღვარი, თუმცა პროგრამაზე ფიქსირდება შემდგომ მობილობით შემომსვლელი სტუდენტების მაღალი მაჩვენებელი. დღეისათვის პროგრამას ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე 84 სტუდენტი.<br>ინტერვიურებისას გაირკვა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებთან დასაქმებული არიან სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის ზოგიერთი მათგანი თავად არის ბიზნესის მფლობელი. აღსანიშნავია, რომ ინტერვიურებისას მათ გამოთქვეს მზადყოფნა წარჩინებული სტუდენტების დაფინანსების კუთხით.<br>მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, სასურველია კიდევ უფრო გაფართოვდეს დამსაქმებელთა წრე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;<br>○ დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები;<br>○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ http://tesau.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდებულია რამოდენიმე სწავლის შედეგი დაიხვეწოს, უფრო მკაფიოდ ჩანდეს ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლების შედეგს შორის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია დამსაქმებელთა წრის გაფართოება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| შეფასება |
|---|
| ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.<br>პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა მნიშნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული |

| |
|---|
| პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.<br>პროგრამაზე ვაკანტური ადგილები, გასაუბრების, გამოცდის ვადები და შეფასების კრიტერიუმები ყველა დაინტერესებული პირისათვის გამჭირვალე და ხელმისაწვდომია და განთავსებულია თესაუ-ს ვებ გვერდზე: www.tesau.edu.ge.<br>დაზუსტდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: *„საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, კერძოდ, პროგრამაზე შეუძლია ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გამოცდებს. პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ“* დაზუსტდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ ბრძანების შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;<br>○ ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.tesau.edu.ge<br>○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>ტექნიკური ხარვეზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ დაზუსტდეს 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების შესაბამისად. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| შეფასება<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია |

შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოს სხდომაზე ოქმი #6, 07.04.2020. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უმეტესად შესრულებულია.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით: პროგრამა 240 მოიცავს კრედიტს. აქედან ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 120 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს), სავალდებულო კომპონენტი - 85 კრედიტი, პრაქტიკა 10 კრედიტი; ძირითად სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 25 კრედიტი), თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი - 35 კრედიტი, თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 25 კრედიტი, დამატებით პროგრამა (Minor) ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოცულობა და შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კერძოდ პროგრამა წარმოდგენილია მარკეტინგის, ფინანსების და მენეჯმენტის სფეროს სასწავლო კურსებით, რომლის მოცულობა, შინაარსი და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის საფეხურს.

მარკეტინგის სფერო წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსებით: მარკეტინგის საფუძვლები, მარკეტინგ-მენეჯმენტის საფუძვლები, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები.

მენეჯმენტის სფერო წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსებით: მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები, პროექტების მართვა.

ფინანსები სფერო წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსებით: ფინანსების საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური მენეჯმენტი,

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ასევე ისწავლება მათემატიკა ბიზნესისთვის 1 და 2, მიკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის პრინციპები, ბიზნესის საფუძვლები, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, სტატისტიკა ბიზნესისათვის. პროგრამის ფარგლებში ბოლო სემესტრში სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას.

როგორც გასაუბრებიდან ირკვევა და ასევე დოკუმენტებიდან დასტურდება, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

პროგრამის ძირითადის სფეროს საგნებს დაემატა: ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგ-მენეჯმენტის საფუძვლები, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტს დაემატა: მომსახურების მარკეტინგი, ლიდერობა და გუნდის მართვა. სასწავლო კურსი

მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის პრინციპები გადაადგილდა პირველ და მეორე სემესტრში. მენეჯმენტის საფუძვლები ისწავლება მიკროეკონომიკის პრინციპებისა და ბიზნესის საფუძვლების გავლის შემდეგ. პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდა მენეჯმენტი 1 და მენეჯმენტი 2, რომელიც გაერთიანდა და პროგრამაში შემოთავაზებულია, როგორც მენეჯმენტის საფუძვლები. სასწავლო კურსს ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ გადაერქვა სახელი და შემოთავაზებულია როგორც ,,ბიზნესის საფუძვლები“.

ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას სრულყოფდა შემდეგი სასწავლო კურსების დამატება: საგადასახადო საქმე, ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები, მომხმარებლის ქცევა, მმართველობითი აღრიცხვა.

მიზანშეწონილია სასწავლო კურსი „ბიზნეს-ინფორმატიკა“ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან გადატანილ იქნეს სავალდებულო კომპონენტში, ვინაიდან არ არის საკმარისი სასწავლო კურსის „კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შესწავლისას მიღებული კომპეტენციები და პრაქტიკული უნარები ბიზნესის ადმინისტრირების კონკურენტუნარიანი ბაკალავრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულისთვის, რასაც ასევე ადასტურებს დამსაქმებლებთან, კურსათავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები და ეს ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროსაც.

სასურველია დარგობრივი არჩევითი კურსები გახდეს უფრო მრავალფეროვანი.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.

პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი, მოწვეული პეროსნალი, სტუდენტები, დამსაქმებლები.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://tesau.edu.ge/
- გასაუბრების შედეგები

**რეკომენდაციები:**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსების დამატება: ოპერაციათა მენეჯმენტი, საგადასახადო საქმე, მომხმარებლის ქცევა, მმართველობითი აღრიცხვა. ასევე ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან გადატანილ იქნეს სავალდებულო კომპონენტში სასწავლო კურსი ბიზნეს-ინფორმატიკა.

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| სასურველია დარგობრივი არჩევითი კურსების მრავალფეროვნება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა სასწავლო კურსების დეტალური ანალიზი. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა (ძირითადი და დამატებითი) შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. თუმცა, ვფიქრობთ, რომ „ფინანსური მენეჯმენტის“ და „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ სასწავლო კურსები საჭიროებს დახვეწას.

ფინანსურ მენეჯმენტის სასწავლო კურსის შინაარსი მოკლებულია ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ფულის დროში ღირებულება, რომელიც წარმოადგენს საკვანძოს საკითხს მომდევნო თავების და ისეთი საკითხების უკეთ გააზრებაში, როგორიცაა წმინდა მიმდინარე ღირებულება. ასევე არ ისწავლება ისეთი თემები, როგორიცაა აქციების, ობლიგაციების შეფასება, ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი, კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი, ფინანსური დაგეგმვა და პროგნოზირება, კორპორაციის შეფასება, კაპიტალის სტრუქტურა და დივიდენდური პოლიტიკა და ა.შ.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა არის ბელჩი, ჯ., ბელჩი, მ., (2013), რეკლამა და პრომოცია. რეკლამა და პრომოცია ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სილაბუსის შინაარსის ანალიზიდანაც ჩანს, რომ შემდეგი

| |
|---|
| თემები, როგორიცაა პირდაპირი და ციფრული მარკეტინგი, გაყიდვების სტიმულირება, ინტერნეტ-მარკეტინგი და სოციალური მედია, პერსონალური გაყიდვები და საზოგადოებასთან ურთიერთობა, ნაკლებად ისწავლება. ძირითადი აქცენტი კეთდება ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის დაგეგმვასა და რეკლამირების საკითხებზე.<br>თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და ძირითადად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.<br>განახლდა პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსები, კერძოდ ,,სტატისტიკა ბიზნესისათვის“ სასწავლო კურსის შინაარსი დაიხვეწა. განახლდა გამოყენებული ლიტერატურა.<br>სასწავლო კურსის ფარგლებში საგნის სპეციფიკის, შინაარსისა და სწავლის შედეგის გათვალისწინებით გამოიყენება სწავლა-სწავლების მეთოდები. |
